ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7778415

ნომერი: AR11125090

თარიღი : 15.01.2026

გაცემის თარიღი : 26.01.2026

გაცნობის თარიღი : 26.01.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვანი , N 4 , (ნაკვეთი N6/36);

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა ვერულაშვილი პ/ნ 21001042985
- ქალაქი თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N14

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 15 იანვარს №AR11125090 განცხადებით მომართა საბა ვერულაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის

№7529471 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანებით №01.13.06.006.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2 (ორი) სამრეწველო საქონლის მაღაზიის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და საპროექტო ობიექტად სამრეწველო საქონლის მაღაზიის ნაცვლად 2 (ორი) სამრეწველო საქონლის მაღაზიის დაფიქსირებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2025 წლის 25 აპრილის №AR11088688 განცხადებით 2 (ორი) სამრეწველო საქონლის მაღაზიის მშენებლობის მიზნით მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. ამასთან, აღნიშნულ განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა შენობის განთავსების სქემა, სადაც საპროექტო ობიექტად მითითებული იქნა 2 (ორი) სამრეწველო საქონლის მაღაზია. სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად 2 (ორი) სამრეწველო საქონლის მაღაზიის ნაცვლად 1 (ერთი) სამრეწველო საქონლის მაღაზია დაფიქსირდა. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება 2025 წლის 24 ოქტომბრის №AR11114039 განცხადება 2 (ორი) სამრეწველო საქონლის მაღაზიის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანებაში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: 2 (ორი) სამრეწველო საქონლის მაღაზია.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 25 ივნისის №7529471 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.